



2000/4-2/22
07-03-2022

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს,
ბატონ ზურაბ აზარაშვილს

ბატონო ზურაბ,

თქვენი, 2022 წლის 1 მარტის, N 04/1779 წერილზე დაყრდნობით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია 2017-2021 წლებში, იმ 1403 ბენეფიციართაგან, ვისაც საჯარო საქმიანობის განხორციელების გამო შეუწყდა სახელმწიფო პენსია, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „დ“ პუნქტის მიხედვით, რამდენი პირი იყო:

- ა) მოხელე;
- ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი;
- გ) შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მიხეილ სარჯველაძე

საჯარო სამართლის
იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების
სააგენტო



Legal Entity of Public Law

SOCIAL SERVICE
AGENCY



KA030497242314722

ს/კ 202178927

საქართველო, თბილისი 0119; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

№ 04/2738

18 / მარტი / 2022 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ მიხეილ სარჯველაძეს

ბატონო მიხეილ,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან სოციალური მომსახურების სააგენტოში შემოსული თქვენი, 2022 წლის 7 მარტის N2000/4-2/22 წერილის პასუხად, საჯარო საქმიანობის განმახორციელებელ პირთა შესახებ გარკვეული სახის ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე გაცნობებთ:

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო, სახელმწიფო გასაცემლების ადმინისტრირების პროცესში, ამუშავებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან (შემოსავლების სამსახური) მიღებულ ინფორმაციას, იმ პირთა შესახებ, რომლებიც შრომით ანაზღაურებად საქმიანობას ახორციელებენ სახელმწიფო და საჯარო სამსახურებში. აღნიშნულ ინფორმაციაში დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფორმა (შრომითი, ადმინისტრაციული, სამართლებრივი, საქონლის/მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის და ა.შ) არ ფიქსირდება.

ვინაიდან, სახელმწიფო ან საჯარო სამსახურში დასაქმებული ბენეფიციარი არის თუ არა – მოხელე, ადმინისტრაციული ან შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, არ წარმოადგენს სახელმწიფო გასაცემლების ადმინისტრირებისათვის საჭირო მონაცემებს, ასეთი სახის ინფორმაცია სახელმწიფო გასაცემლების ერთიან სააღრიცხვო ბაზაში არ არის შენახული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სოციალური მომსახურების სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას მოგაწოდოთ თქვენს მიერ მოთხოვნილი კონკრეტული ინფორმაცია – „იმ ბენეფიციართაგან, რომელთაც საჯარო საქმიანობის განხორციელების გამო შეწყვეტილი აქვთ სახელმწიფო პენსია 2017 – 2021 წლებში, რამდენი იყო: ა) მოხელე; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი; გ) შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი“.

პატივისცემით,

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერა/
შტამპი/ფაქსი/ფოტო
ელემენტები



თამილა ბარკალაია